GEORGIAN–JEWISH RELATIONS AND IDENTITY MODELS: A CASE STUDY OF THE JEWS OF AKHALTSIKHE

ქართულ-ებრაული ურთიერთობები და იდენტობის მოდელები ახალციხელი ებრაელების მაგალითზე

TSIRA MESKHISHVILI

Doctor of History, Associate Professor
of Samtskhe-Javakheti State University.
Rustaveli St. #113 Akhaltsikhe, Georgia
tsirameskh@gmail.com, 599 51 36 22
https://orcid.org/0009-0000-9175-3718

Abstract

The paper aims to analyze the mechanisms of the formation and preservation of the identity of the Jewish community living in Georgia (through the example of the Jews of Akhaltsikhe) within a multiethnic environment, with particular attention to the phenomenon of dual identity. The research is based on theories of cultural identity and diaspora, according to which identity is understood as a dynamic and context-dependent process, while collective belonging is often formed within the framework of an "imagined community."

The historical experience of Georgian Jews demonstrates that identity preservation was not based on isolation. Instead, it developed through balanced integration into Georgian social and cultural life, ensuring both the preservation of communal distinctiveness and active participation in wider society.

Internal cohesion and cultural continuity were maintained through Halakha as a system of religious norms, as well as through historical memory and the intergenerational transmission of traditions. These elements provided a stable foundation for identity and clear cultural boundaries.

At the same time, active participation in Georgian social life facilitated integration and cultural proximity, resulting in a dual identity model that combined Jewish religious-ethnic belonging with full participation in Georgian cultural space.

Notably, even after migration to Israel, many Georgian Jews retained a strong emotional and cultural perception of Georgia as a "second homeland," highlighting the transgeographical nature of identity.

This paper aims to analyze and explain this model of dual identity, contributing to a better understanding of mechanisms of integration and identity preservation in diasporic communities.

Keywords: Georgian Jews; Akhaltsikhe; dual identity; Halakha; historical memory; integration; diaspora; Georgian–Jewish relations; cultural diversity.

ცირა მესხიშვილი

ისტორიის დოქტორი, სამცხე–ჯავახეთის სახელწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
საქართველი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. #113
tsirameskh@gmail.com, 599 51 36 22
https://orcid.org/0009-0000-9175-3718

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია საქართველოში მცხოვრები ებრაული თემის (ახალციხელი ებრაელების მაგალითზე) იდენტობის ფორმირებისა და შენარჩუნების მექანიზმების ანალიზი მრავალეთნიკურ გარემოში, განსაკუთრებული ყურადღებით ორმაგი იდენტობის ფენომენზე. კვლევა ეფუძნება კულტურული იდენტობისა და დიასპორის თეორიებს, რომლის მიხედვითაც იდენტობა განიხილება როგორც დინამიკური და კონტექსტზე დამოკიდებული პროცესი, ხოლო კოლექტიური კუთვნილება ხშირად „წარმოსახვითი საზოგადოების“ ფარგლებში ყალიბდება.

ქართველ ებრაელთა ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ იდენტობის შენარჩუნება იზოლაციაზე არ ყოფილა დაფუძნებული. პირიქით, იგი ვითარდებოდა ქართულ სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში დაბალანსებული ინტეგრაციის გზით, რაც უზრუნველყოფდა როგორც თემური თვითმყოფადობის შენარჩუნებას, ისე ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

შიდა ერთიანობა და კულტურული უწყვეტობა შენარჩუნებული იყო ჰალაქის, როგორც რელიგიურ ნორმათა სისტემის, ასევე ისტორიული მეხსიერებისა და ტრადიციების თაობათაშორისი გადაცემის მეშვეობით. ეს ელემენტები იდენტობის მდგრად საფუძველსა და მკაფიო კულტურულ საზღვრებს ქმნიდა.

ამავდროულად, ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა ხელს უწყობდა ინტეგრაციასა და კულტურულ სიახლოვეს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ორმაგი იდენტობის მოდელი, რომელიც აერთიანებდა ებრაულ რელიგიურ-ეთნიკურ კუთვნილებასა და ქართულ კულტურულ სივრცეში სრულფასოვან მონაწილეობას.

საყურადღებოა, რომ ისრაელში მიგრაციის შემდეგაც ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვან ნაწილს საქართველოზე, როგორც „მეორე სამშობლოზე“, ძლიერი ემოციური და კულტურული აღქმა შეუნარჩუნდა, რაც იდენტობის ტრანსგეოგრაფიულ ხასიათს წარმოაჩენს.

ნაშრომი მიზნად ისახავს ორმაგი იდენტობის ამ მოდელის ანალიზსა და ახსნას, რაც ხელს შეუწყობს დიასპორულ თემებში ინტეგრაციისა და იდენტობის შენარჩუნების მექანიზმების უკეთ გააზრებას.

საკვანძო სიტყვები: ქართველი ებრაელები; ახალციხე; ორმაგი იდენტობა; ჰალაქა; ისტორიული მეხსიერება; ინტეგრაცია; დიასპორა; ქართულ-ებრაული ურთიერთობები; კულტურული მრავალფეროვნება.

შესავალი

ნაშრომის მიზანია გააანალიზოს ქართველი ებრაელების(ახალციხელი ებრაელების მაგალითზე)იდენტობის ფორმირებისა და შენარჩუნების მექანიზმები მათი ტრადიციების, ყოფისა და სოციალური ურთიერთობების კონტექსტში, მრავალეთნიკურ გარემოში. კვლევა ეყრდნობა კულტურული იდენტობისა და დიასპორის თეორიებს, რომელთა მიხედვით იდენტობა, ერთი მხრივ, ისტორიულად ცვალებადი და სოციალურ კონტექსტზე დამოკიდებული პროცესია, ხოლო, მეორე მხრივ, წარმოადგენს კოლექტიური კუთვნილების ფორმას, რომელიც ხშირად „წარმოსახვითი ერთობის“ ფარგლებში ყალიბდება საერთო მეხსიერების, სიმბოლოებისა და წეს-ჩვეულებების საფუძველზე (Robin Cohen, 1997, 27).

აღნიშნული თეორიული ჩარჩოს საფუძველზე, ნაშრომი ქართველი ებრაელების საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების გამოცდილებას განიხილავს როგორც მაგალითს, სადაც იდენტობის შენარჩუნება შესაძლებელი გახდა რელიგიური ტრადიციების, ენობრივი თავისებურებებისა და ადგილობრივ საზოგადოებაში ინტეგრაციის თანაარსებობით. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულმა ფაქტორმა. პირველ რიგში, რელიგიური ცხოვრების ტრადიციულმა ფორმებმა და ინსტიტუციურმა სტრუქტურებმა, რომლებიც უზრუნველყოფდა თემის შიდა ორგანიზებასა და კულტურული მემკვიდრეობის თაობებს შორის გადაცემას. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან სოციალური ინტეგრაცია, რომელიც, ერთი მხრივ, თანაცხოვრებასა და ყოველდღიურ ურთიერთობებს ეფუძნებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, კულტურული საზღვრებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებასაც გულისხმობდა. იდენტობის შენარჩუნებაში არსებით როლს ასრულებდა ისტორიული მეხსიერება და კოლექტიური ნარატივები, რომლებიც თემის თვითაღქმას აყალიბებდა, როგორც ერთიან და უწყვეტ კულტურულ ერთეულს, მიუხედავად გეოგრაფიული და პოლიტიკური ცვლილებებისა (Neusner, 1997, გვ. 54). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ოჯახურ და თემურ სტრუქტურებს, რომლებიც უზრუნველყოფდა ტრადიციების, სოციალური ნორმებისა და კოლექტიური გამოცდილების თაობათაშორისო გადაცემის მდგრად მექანიზმს. ნაშრომის მთავარი მიზნიდან გამომდინარე ბუნებრივად ჩნდება დამაზუსტებული ასეთი კითხვაც: რომელ სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრაქტიკებს ეყრდნობოდა საქართველოში ებრაული თემი იდენტობის შენარჩუნების პროცესში, იმ პირობებში, როდესაც იგი საუკუნეების განმავლობაში დისპერსიულ მდგომარეობაში და სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა? პასუხი ერთია: ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რამდენიმე ფაქტორმა – რელიგიამ, როგორც მათი ცხოვრების ცენტრალურმა საფუძველმა, რელიგიური მცნებების შესრულებამ, თორას სწავლამ, ლოცვამ და შაბათის დაცვამ. ყოველივე ეს ქმნიდა ებრაული თემის ცხოვრების ყოველდღიურ ჩარჩოს და აძლიერებდა მათ იდენტობას. ძლიერმა სათემო ორგანიზაციამ და “ჰალახამ”*, როგორც სოციალური და ყოველდღიური ცხოვრების მარეგულირებელმა სისტემამ, ისტორიულმა მეხსიერებამ და კოლექტიურმა ცნობიერებამ,

ენამ და კულტურამ, სოციალური საზღვრების შენარჩუნებამ როგორც ნებაყოფლობით, ისე ზოგჯერ იძულებითი პირობების გავლენით ყველგან ქმნიდნენ ორგანიზებულ თემებს ისეთი ინსტიტუტებით, როგორიცაა: სინაგოგები, რელიგიური სასამართლოები, ქველმოქმედებისა და განათლების სისტემები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ებრაულმა თემმა განსაკუთრებით წარმატებით შეძლო ამ ელემენტების შენარჩუნება. ამასთანავე, ქართველი ებრაელების ცხოვრების წესი წარმოადგენდა იმ უნიკალურ შემთხვევას, როდესაც იდენტობის დაცვა ხორციელდებოდა არა იზოლაციის, არამედ დაბალანსებული ინტეგრაციის გზით. ჰალახას დაცვა უზრუნველყოფდა თემის შინაგან ერთობას, ხოლო ქართულ სოციალურ და კულტურულ სივრცეში აქტიური ჩართულობა აძლიერებდა მათ კავშირს ადგილობრივ საზოგადოებასთან. ორი იდენტობა გამოიხატებოდა, ერთი მხრივ, ებრაული რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მტკიცე შენარჩუნებაში, ხოლო მეორე მხრივ — ქართული კულტურული სივრცის ორგანულ გაზიარებაში. ეს თანაარსებობა არ იწვევდა ასიმილაციას; პირიქით, ქმნიდა ურთიერთგამაძლიერებელ იდენტობებს. აღნიშნული ფენომენი განსაკუთრებით საინტერესოა და საჭიროებს შემდგომ სიღრმისეულ კვლევას.

კვლევის მეთოდები

კვლევა ეფუძნება ისტორიულ-ეთნოგრაფიულ და ინტერდისციპლინურ მიდგომას. გამოყენებულია ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდი, ეთნოგრაფიული საველე მასალები, ზეპირი გადმოცემები, საარქივო წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა. ნაშრომში გაანალიზებულია ახალციხელი ებრაელების კულტურული მეხსიერება, ურბანული სივრცე, რელიგიური ინსტიტუტები, ენობრივი გარემო და ინტერკულტურული ურთიერთობები. კვლევის პროცესში გამოყენებულია როგორც ისტორიული წყაროები და ეთნოგრაფიული მასალები, ასევე ავტორის საველე დღიურები და დაკვირვებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალციხის ებრაული უბნის სოციალურ ორგანიზაციას, ტოპონიმიკას, სინაგოგებს, ოჯახურ სტრუქტურებსა და კულტურულ პრაქტიკებს. კვლევა ასევე ეყრდნობა დიასპორისა და კულტურული იდენტობის თანამედროვე თეორიებს, რაც საშუალებას იძლევა ახალციხელი ებრაელების გამოცდილება განხილულ იქნას უფრო ფართო თეორიულ კონტექსტში

შედეგები და მსჯელობა

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე ძირითად საკითხზე. პირველ რიგში, განხილულია, თუ როგორ შეძლო საქართველოში, მათ შორის სამცხე–ჯავახეთში (ახალციხეში) მცხოვრებმა ებრაულმა თემმა საკუთარი იდენტობის შენარჩუნება მრავალსაუკუნოვან, დინამიკურ და მრავალეთნიკურ გარემოში, სადაც თანაარსებობდა ქართული მართლმადიდებლური, კათოლიკური, მუსლიმური, სომხური, რუსული, თუ ბერძნული კულტურული სივრცეები, მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა იმასაც, თუ როგორ ჩამოყალიბდა და შეისისხლხორცა ქართული იდენტობა თავად ებრაული თემის შიგნით. იდენტობა, რომელიც არ იყო იძულებით თავსმოხვეული, არამედ აღიქმებოდა

ორგანულ და შინაგან კუთვნილებად და გამოხატავდა ქართულ კულტურულ სივრცესთან თანაცხოვრების ბუნებრივ პროცესს. სანამ ქართველი ებრაელების, მათ შორის ახალციხელი ებრაელების, ქართულ–ებრაული იდენტობის საკითხის განხილვას განვაგრძობთ, მოკლედ შევეხებით სამცხე–ჯავახეთში მათი დასახლების ისტორიასა და იმ პროცესებს, რომლებმაც განსაზღვრა მათი კულტურის, ტრადიციებისა და იდენტობის შენარჩუნება. აღნიშნული ისტორიული ასპექტების განხილვა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს, თუ რატომ არის ახალციხელი ებრაელების მაგალითი განსაკუთრებული და საინტერესო. სწორედ მრავალეთნიკურ, რელიგიურად მრავალფეროვან და ისტორიულად ცვალებად გარემოში იკვეთება ყველაზე მკაფიოდ ორი იდენტობის მოდელი, სადაც ებრაული და ქართული იდენტობები არა მხოლოდ თანაარსებობენ, არამედ ერთმანეთის გაძლიერებასაც უწყობენ ხელს.

სამცხე–ჯავახეთში ებრაელთა ყოფნის უძველესი კვალი ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან იკვეთება, ხოლო შუა საუკუნეებში მათი ძირითადი დასახლებები უმეტესად ქალაქურ სივრცეში იყო კონცენტრირებული. ამას ადასტურებს ახალციხეში ისტორიულად არსებული ქართველი ებრაელების მრავალრიცხოვანი თემი, ასევე დღემდე შემორჩენილი ებრაელთა უბანი ძველი საცხოვრებლებით, სალოცავებით, სასაფლაოებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ყოფის მრავალფეროვანი ელემენტებით. ებრაელთა უბანი ახალციხეში თავისი ისტორიული და კულტურული ნიშნებით ქალაქის სოციალური და კულტურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდა. ქალაქი ახალციხე, რომლის დაარსებაც IX–XI საუკუნეებს განეკუთვნება, ყოველთვის წარმოადგენდა მრავალეთნიკური და მრავალრელიგიური თანაცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს. ძველი ქალაქის, ე.წ. რაბათის უბნების დასახელებები და ტოპონიმიკა ხშირად ასახავდა მოსახლეობის რელიგიურ, ეთნიკურ და პროფესიულ იდენტობებს. მაგალითად: ებრაელთა (ურიების) უბანი — „იაუდი მაჰალა“; სომეხთა უბანი; კათოლიკეთა (ფრანგები) უბანი; მართლმადიდებელთა უბანი, ბოშათა უბანი და სხვ. (მაისურაძე, 1937, გვ. 23).

სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენელთა უბნებად კონცენტრირებულ დასახლებას განაპირობებდა ეთნიკური ერთგვაროვნება, რელიგიური იდენტობა, საერთო ენობრივი სივრცე, სამეურნეო ინტერესთა ერთობა და კოლექტიური უსაფრთხოების საჭიროება (ჭილაშვილი, 1968, გვ. 22). აღნიშნული ფაქტორები განსაზღვრავდა ურბანული სივრცის ეთნოკონფესიურ ორგანიზაციას, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ძველი ახალციხის უბნები. ახალციხეში ებრაელთა უბანი, სხვა უბნების მსგავსად, პატრონიმიულ პრინციპზე იყო აგებული და შედგებოდა სისხლით ნათესავი ოჯახების მცირე კვარტალებისაგან(იველაშვილი, ცაგარეიშვილი, 1997, გვ. 46). კვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა ებრაელთა ქართული ოჯახური გვარების მეტსახელებთან დაკავშირებული ძალიან საინტერესო ონომასტიკური მოდელი. საცხოვრებელ კვარტალებს ხშირად ერქვა გვარის უფროსთა სახელები, ან რომელიმე ისტორიასთან, ამბავთან დაკავშირებული გვარების მეტსახელები, რომლებიც გამოიყენებოდა შიდა იდენტიფიკაციისა და სოციალური ორგანიზაციისთვის. აღნიშნული ფაქტი არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეულ ლინგვისტურ

დეტალს, არამედ მიუთითებს ადგილობრივი სოციალური სტრუქტურების ძლიერი გავლენაზე. ამ შემთხვევაში აშკარად იკვეთება ეს სისტემა, რომელიც მჭიდროდ ეყრდნობა ქართულ, განსაკუთრებით მესხურ დასახლებებში გავრცელებულ ანალოგიურ ტრადიციას, სადაც გვარებთან დაკავშირებული მეტსახელები მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის მატარებელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ებრაული თემის მიერ მათი საგვარეულოების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებული მეტსახელების სისტემა არ არის მხოლოდ გარეგანი გავლენის შედეგი, არამედ წარმოადგენს კულტურული ადაპტაციის პროცესის ნათელ მაგალითს. ცხადია ადგილობრივი ქართული ენობრივი და სოციალური მოდელები აქტიურად ინტეგრირდა თემის ყოველდღიურ პრაქტიკაში. ამის შედეგად, მეტსახელებმა შეიძინა როგორც იდენტიფიკაციური, ისე კულტურულად ინტეგრაციული ფუნქცია, ხოლო მათი ფორმობრივი (მათ შორის გრამატიკული დაბოლოებების) თავისებურებებიც ადგილობრივი ქართული(მესხური) ენობრივი გარემოს გავლენით ჩამოყალიბდა. მაგალითად: შალოლაშვილების გვარის მეტსახელი–კაჭოთი, დავითაშვილების — ფეფელათი, ბებერაშვილების — შიპტოთი, ხანუკაშვილების — ქორჭალათი და სხვ. (მესხიშვილი, 1997, გვ. 57).

ქართულ-ებრაული კულტურული თანაცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას წარმოადგენს საცხოვრებელი სივრცისა და არქიტექტურული ფორმების ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება ებრაულ თემში. ახალციხელი ებრაელები ცხოვრობდნენ მესხური დარბაზული ტიპის სახლებში და ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ ადგილობრივი არქიტექტურისთვის დამახასიათებელ ელემენტებსა და ტერმინოლოგიას. საინტერესოა, რომ რიგ შემთხვევებში ძველი ქართული ტერმინებისა და ყოფითი ასპექტების დადასტურება უფრო მეტად შესაძლებელი გახდა ებრაულ მოსახლეობაში, ვიდრე თავად ქართულ სოციუმში. მაგალითად, ებრაელებმა ახალციხეში უცვლელად შემოინახეს ისეთი ტერმინები, როგორიცაა „აჯილაკი“, „ცეცხლაპირი“ და სხვ. (მესხიშვილი, 1993, გვ. 18).

ებრაელთა უბანი ძირითადად სალოცავებთან სიახლოვეს, ტერასული განაშენიანების პრინციპით იყო მოწყობილი. უბნის ცენტრალურ ნაწილში დღემდე შემორჩენილი ორი სინაგოგა, ებრაული თემის რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ცენტრებს წარმოადგენდა. მათგან ერთი ამჟამად მოქმედია, ხოლო მეორე — გაუქმებული. ძველი სინაგოგის შესასვლელზე არსებული წარწერის მიხედვით, ნაგებობა 1862–1863 წლებშია აგებული, თუმცა არსებობს საკმაოდ არგუმენტირებული მოსაზრება, რომ მისი დაარსება უფრო ადრეულ პერიოდს, 1756–1758 წლებს შეიძლება უკავშირდებოდეს,(ც. მესხიშვილი, 2022,69) მეორე სინაგოგა XX საუკუნის დასაწყისში იქნა აშენებული, რაც ებრაელთა უბანში ებრაული მოსახლეობის რაოდენობის მატებით იყო განპირობებული. იგი, სავარაუდოდ, აწყურიდან გადმოსახლებული ებრაელების ინიციატივით 1902 წელს აიგო. ახალციხის სალოცავს მაღალი ავტორიტეტი ჰქონდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. წლების განმავლობაში აქ მსახურობდნენ ავტორიტეტული რაბინები. სალოცავში დაცული იყო და ამჟამადაც დაცულია უნიკალური, უძველესი სეფერ თორები. სინაგოგასთან ფუნქციონირებდა ე. წ. "ხედერი, (სასულიერო სასწავლებელი), სადაც ბავშვები სწავლობდნენ

ანბანს, თორას და საწყის რელიგიურ ცოდნას. ამავდროულად, ებრაელი ბავშვების დიდი ნაწილი ქართულ სკოლებში იღებდა განათლებას, რაც უფრო მეტად უწყობდა ხელს მათი ქართული იდენტობის ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას. უაღრესად მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქართული ენის როლი ქართველი ებრაელების ისტორიაში. მიუხედავად რთული პოლიტიკური კონტექსტისა, რომ XVIII–XIX საუკუნეებში რეგიონში თურქული იქცა ძირითად საკომუნიკაციო ენად, ქართველი ებრაელები ქართულს ინარჩუნებდნენ როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ სივრცეში. მათ შორის შემორჩა რაბათისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კილოც კი, რომელიც დღემდე შეინარჩუნეს ისრაელში გადასახლებულმა ახალციხელმა ებრაელებმა. როგორც ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, „ოსმალეთის საქართველოში ყველგან შეირყა ქართული ენა, ქართველი ებრაელები კი დღესაც თავის დედა-ენად ქართულს ხმარობენ“ (ჭიჭინაძე, 1904, გვ. 22). ახალციხელმა ებრაელებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ფოლკლორის შენარჩუნებაში — ისინი ასრულებდნენ ქართულად მესხურ სიმღერებსა და ცეკვებს, (საივო,ფერხული, მრავალჟამიერი), მონაწილეობდნენ ტრადიციულ რიტუალებში და ინახავდნენ უნიკალურ კულტურულ მეხსიერებას. მათ შორის ახალციხელ ებრაელთა ხალხურმა ფოკლორმა შემოგვინახა „ვეფხისტყაოსნის“ხალხური ვერსიის მნიშვნელოვანი ფრაგმენტებიც. ეკონომიკური თვალსაზრისით, ებრაული თემი მრავალფეროვან საქმიანობას ეწეოდა, როგორც ვაჭრობას, ისე მიწათმოქმედებას, მესაქონლეობასა და ხელოსნობას. საქმიანობის ყველა ზემოთჩამოთვლილ სფეროებში გამოიყენებოდა მხოლოდ ქართული სამეურნეო ხასიათის ტერმინოლოგია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათი როლი როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ვაჭრობაში, რომელიც მოიცავდა თურქეთს, ირანს, რუსეთსა და სხვა რეგიონებს.

მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ასევე ახალციხეში — მრავალეროვან და მრავალკონფესიურ ქალაქში ჩამოყალიბებული ინტერკულტურული ურთიერთობები. ქალაქში არსებობდა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთის დღესასწაულებს ერთად აღნიშნავდნენ: ებრაული თემის წარმომადგენლები მეზობლებს მასპინძლობდნენ ფესახის, იომ ქიფურის, ფურუმის და ა.შ დღესასწაულებზე, ხოლო მეორე მხრივ თავადაც მონაწილეობდნენ ქრისტიანული შობის, მარიამობის, ამაღლების და სხვა დღესასწაულების აღნიშვნაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გასაბჭოების დღიდან, სახელმწიფო პოლიტიკა მიმართული იყო რელიგიური და ეთნიკური იდენტობების შეზღუდვისა და საჯარო სივრციდან მათი თანდათანობრივი განდევნისაკენ. 1937 წელს ახალციხის ებრაულ უბანში თავდაპირველად ერთი სალოცავი დაიხურა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მეორე. აწყურელი ებრაელების მიერ აგებულ სალოცავს თავდაპირველი ფუნქცია აღარ დაბრუნებია, ადგილობრივი ხელისუფლება მას სხვადასხვა დანიშნულებით იყენებდა. შენობაში სხვადასხვა დროს ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, კინოდარბაზი და მოგვიანებით კი კრივის სექციის სპორტული დარბაზიც კი.

XX საუკუნის 50-იან წლებში ახალციხელმა ებრაელებმა ერთი სალოცავის დაბრუნება შეძლეს, რის შემდეგაც იგი უწყვეტად წარმოადგენდა ადგილობრივი ებრაული თემის რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს. სინაგოგაში დღემდე

შემორჩენილია ებრაული რელიგიური წესისთვის აუცილებელი ატრიბუტები, მათ შორის „მიკვე“ (სარიტუალო აუზი), მაცის საცხობი მოწყობილობა და სხვა საკულტო დანიშნულების სივრცეები. აღნიშნული სალოცავი XX საუკუის 90 იან წლებამდე მოქმედებდა. დღეს თითქმის აღარ გამოიყენება. ებრაული თემის მკვეთრი შემცირების გამო, სრულფასოვანი რელიგიური ცხოვრების შენარჩუნება უკვე ბოლო 25 წლის განმავლობაში შეუძლებელი გახდა ე.წ. „მინიანის“* არარსებობის გამო, რაც ებრაულ რელიგიურ ტრადიციაში მკაცრად დაცულ მოთხოვნას წარმოადგენდა მუდამ.

ნაშრომში განხილული ისტორიული, თუ ეთნოგრაფიული მაგალითები — ურბანული სივრცის ორგანიზაცია, სათემო სტრუქტურები, რელიგიური ინსტიტუტები, განათლების ფორმები, ეკონომიკური აქტივობა, ენის შენარჩუნება და ინტერკულტურული ურთიერთობები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ორი იდენტობა რეალურად ფუნქციონირებდა ქართველ ებრაელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და არა მხოლოდ სიმბოლურად. იგი წარმოადგენდა პრაქტიკაში განხორციელებული სოციალურ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფდა როგორც თემის შიდა კონსოლიდაციას, ისე მის ეფექტიან ინტეგრაციას ფართო საზოგადოებაში. განსაკუთრებით საყურადღებოა ქართული ენისა და კულტურის როლი, რომელიც ქართველი ებრაელებისთვის იქცა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებად, არამედ ღრმა კულტურულ კუთვნილებად. ქართული იდენტობა არ აღიქმებოდა როგორც გარედან თავსმოხვეული რეალობა, არამედ ფორმირდებოდა როგორც ნებაყოფლობითი, ანუ მათი შინაგანი არჩევანი, ეს კიდევ უფრო ამყარებდა ორმაგი იდენტობის მდგრადობას. ამასთანავე, იუდაიზმის რელიგიური სისტემა თავისი ნორმებით, ტრადიციებითა და საგანმანათლებლო პრაქტიკებით უზრუნველყოფდა თემის კულტურული და ეთნიკური თვითმყოფადობის უწყვეტობას. საბოლოოდ, ქართველი ებრაელების გამოცდილება გვთავაზობს ორი იდენტობის წარმატებული და მდგრადი მოდელის მაგალითს, რომელიც არათუ ასუსტებს ინდივიდისა და ჯგუფის კუთვნილებას, არამედ აძლიერებს კიდეც მას. ორი იდენტობის უნიკალუობა ნათლად აჩვენებს, რომ იდენტობა შეიძლება იყოს ერთდროულად მრავალგანზომილებიანი, მოქნილი და სტაბილური, ხოლო მისი ჩამოყალიბება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ურთიერთპატივისცემაზე, კულტურულ თანაცხოვრებასა და ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სოციალური გარემოს პირობებში. ამ თვალსაზრისით, ქართველი ებრაელების მაგალითი ცდება ლოკალურ კონტექსტს და იძენს უფრო ფართო თეორიულ მნიშვნელობას. იგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ანალიტიკურ რესურსს თანამედროვე მრავალეთნიკური საზოგადოებებისათვის, სადაც იდენტობის, ინტეგრაციისა და თანაცხოვრების საკითხები კვლავ აქტუალურ გამოწვევად რჩება. შესაბამისად, აღნიშნული გამოცდილების სიღრმისეული შესწავლა შეიძლება გახდეს საფუძველი იმგვარი სოციალურ-კულტურული მოდელების გააზრებისთვის, რომლებიც ხელს უწყობს მრავალფეროვნების შენარჩუნებას და ამავდროულად საზოგადოებრივი ერთობის განმტკიცებას. ამ უნიკალური მოვლენის საუკეთესო დადასტურებაა საქართველოდან ებრაელთა რეპატრიაციის ისტორიული პროცესების ფონზე, მათ ცნობიერებაში კიდევ უფრო გამოკვეთილი ორი იდენტობა–

ებრაული და ქართული. ისრაელში მცხოვრებმა ქართველ ებრაელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე შეინარჩუნა ქართული ენა, კულტურული მეხსიერება, ტრადიციები, სიმღერა, ცეკვა და ქართული სამზარეულოს ელემენტები. ისრაელში დღემდე ფუნქციონირებს ქართული კულტურული ცენტრები, ცეკვის ანსამბლები, მუზეუმები, ქართული ენაზე გამოცემული გაზეთები და სხვადასხვა სათემო ინიციატივები, რომლებიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას ემსახურება. ქართულ ენასა და კულტურასთან ეს ემოციური და კულტურული კავშირი ხშირად იმდენად ძლიერია, რომ იგი თაობებს შორის მეხსიერებისა და თვითიდენტიფიკაციის მნიშვნელოვან ნაწილად რჩება მაინც.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ებრაელების გამოცდილება განსხვავებული და გარკვეულწილად უნიკალურია სხვა დიასპორული ჯგუფების გამოცდილებისგან. სწორედ ამგვარი მრავალშრიანი კავშირები წარმოაჩენს ორმაგი იდენტობის ფენომენის მდგრადობას, სადაც ებრაული და ქართული იდენტობები ერთმანეთის პარალელურად არსებობენ და ურთიერთგაძლიერებას ახდენენ. ქართველი, მათ შორის ახალციხელი ებრაელების მაგალითი გვიჩვენებს, რომ იდენტობა მრავალფეროვნებაში არ იკარგება, პირიქით, სწორედ მრავალფეროვანი თანაარსებობის პირობებში ძლიერდება. აღნიშნული გამოცდილება ცხადყოფს, რომ იდენტობა ამ შემთხვევაში არ ეფუძნება არჩევანს „ან–ან“ პრინციპით, არამედ შესაძლებელია მისი თანაარსებობა „და–და“ მოდელის ფარგლებში, რომელიც აძლიერებს როგორც ინდივიდს, ისე საზოგადოებას“ (Hall Stuart, 1990, 34).

*ჰალახა– ადგენდა ებრაელთა ერთიან წესებს ცხოვრების ყველა სფეროში – საკვებიდან (ქაშრუტი) ქორწინებამდე , ყველა სახის სოციალურ ურთიერთობებამდე.

**მინიანი* — იუდაიზმში საზოგადოებრივი ლოცვის ჩასატარებლად აუცილებელი მინიმალური რაოდენობა სრულწლოვანი ებრაელი მამაკაცებისა (ტრადიციულად — 10 ადამიანი). მინიანის გარეშე რიგი მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალებისა და საჯარო ლოცვების შესრულება შეუძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

Hall, Stuart. (1990). “Cultural Identity and Diaspora.” In *Identity: Community, Culture, Difference*, edited by Jonathan Rutherford,

Neusner. (1997). Jewish Law; Halbertal, Jewish Tradition and the Halakhic System).

ჭილაშვილი, ლ. (1968). ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. ტ I. თბ.

ჭიჭინაძე, ზ. (1904,). ქართველი ებრაელები საქართველოში“, თბ.
იეჰუდა ჰალევი ჩორნი, (თ. .)„მოგზაურობა იმიერ და ამერკავკასიაში“, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები (მეორე გამოცემა). ტ.III, თბ.
იველაშვილი,თ.ცაგარეიშვილი, თ. (1977). “გვხმობს მამული მამა პაპათა”, თბ.
ილია მაისურაძე, (1937). რაბათის ტოპონიმიკა, სამცხე–ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი #1451. თბ.
იცხაკ დავიდი, (1976). ნაწერები. ტ. II, თელ-ავივი.
მამისთვალაშვილი, ე. (1995). ქართველ ებრაელთა ისტორია. თბ.
(მესხიშვილი, ც. (1993-1994). ექსპედიციის საველე დღიური #2, # 3).
მესხიშვილი, ც. (1997). ახალციხელ ებრაელთა ტრადიციული ყოფა და კულტურა. საკანდიდატო დისერტაცია.

REFERENCES

Hall, Stuart. (1990). “Cultural Identity and Diaspora.” In *Identity: Community, Culture, Difference*, edited by Jonathan Rutherford,
Neusner. (1997). Jewish Law; Halbertal, Jewish Tradition and the Halakhic System).
ch'ilashvili, l. (1968). kalakebi peodalur sakartveloshi. t' I. tb.
ch'ich'inadze, z. (1904,). kartveli ebraelebi sakartveloshi“, tb.
iehuda halevi chorni, (t. .)„mogzauroba imier da amerk'avk'asiashi“, sakartvelos ebraelta ist'oriul-etnograpiuli muzeumis shromebi (meore gamotsema). t'.III, tb.
ivelashvili,t.tsagareishvili, t. (1977). “gvkhmobs mamuli mama p'ap'ata”, tb.
ilia maisuradze, (1937). rabatis t'op'onimik'a, samtskhe–javakhetis ist'oriuli muzeumis khelnats'erta pondi #1451. tb.
itskhak' davidi, (1976). nats'erebi. t'. II, tel-avivi.
mamistvalashvili, e. (1995). kartvel ebraelta ist'oria. tb.
(meskhishvili, ts. (1993-1994). eksp'editsiis savele dghiuri #2, # 3).
meskhishvili, ts. (1997). akhaltsikhel ebraelta t'raditsiuli qopa da k'ult'ura. sak'andidat'o disert'atsia.